



საჯარო სამართლის იურიდიული პირის -

„აწარმოე საქართველოში“ დირექტორის

ბრძანება



KA020136422861221

№ ს-7

05 / თებერვალი / 2021 წ.

სახელმწიფო პროგრამის აწარმოე საქართველოში „მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის“ (შემდგომში პროგრამა) კომპონენტის ფარგლებში მენარმე სუბიექტის მიერ ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის № 365 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ 12³ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 12⁵ მუხლის მე-7 და მე-10 პუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აწარმოე საქართველოში დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 მაისის № 1-1/217 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აწარმოე საქართველოში დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს მენარმე სუბიექტის მიერ სახელმწიფო პროგრამის აწარმოე საქართველოში „მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობის“ (შემდგომში პროგრამა) კომპონენტის ფარგლებში მენარმე სუბიექტის მიერ ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ამონაწერი რეესტრიდან ან იჯარის ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადაც განისაზღვრება მენარმე სუბიექტსა და სააგენტოს შორის ხელშეკრულების გაფორმებიდან არანაკლებ 2 (ორი) წლით;

ბ) გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირად/ინდივიდუალური მენარმედ რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ცნობა კომერციული ბანკიდან თანამონაწილეობის თანხის თავის ანგარიშზე არსებობის შესახებ.

დ) ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც უნდა მოხდეს თანადაფინანსების (გრანტის) თანხის ჩარიცხვა.

ე) ცნობა, ამ მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომერციული ბანკიდან, იმის თაობაზე, რომ მენარმე სუბიექტს აღნიშნულ კომერციულ ბანკში არ გააჩნია ვადაგადაცილებული დავალიანება.

ვ) ამონაწერი მოვალეთა რეესტრიდან.

2. აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში სააგენტო, პროგრამის ფარგლებში, არ გააფორმებს მენარმე სუბიექტთან ხელშეკრულებას.

3. აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტებს მენარმე სუბიექტი მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით წარუდგენს შესაბამის კონტრაქტორ ორგანიზაციას.

4. აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ორიგინალ ვერსიებს შენარმე სუბიექტი ხელშეკრულების გაფორმებისას წარუდგენს შესაბამის კონტრაქტორ ორგანიზაციას.

5. აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე კონტროლი დაევალოს სააგენტოს შენარმეობის დეპარტამენტს.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2).

სსიპ-ის „ანარმე საქართველოში“
დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამდასმულია
ელექტრონულად



მიხეილ ხიდურელი